პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 43 (3527)

2

შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 24-ე წელი.

# საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობამ დაამთავრა მუშაობა

28 თებერვალს რესპუბლიკის კომკავშირის XXVII ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

ამავე დღეს გაიმართა რესპუბლიკის კომკავშირის XXVII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა აირჩია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო გ. ვ. ბედინეიშვილის, გ. დ. გაგუნიას, ი. ბ. გამრეკელის, გ. გ. გელაშვილის, ვ. ე. გრაჩოვის, რ. ხ. კონცელიძის, ნ. ი. ლალიძის, რ. ვ. მეტრეველის, გ. ვ. სიხარულიძის შემადგენლობით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია რ. ვ. მეტრეველი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია რ. ხ. კონცელიძე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ი. ბ. გამრეკელი და ნ. ი. ლალიძე.

პლენუმმა პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ დაამტკიცა ნ. ა. წერეთელი.

სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ე. ი. კანდელაკი.

სპორტული და თავდაცვითმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა რ. ვ. პოპოვა.

პლენუმმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორად დაამტკიცა გ. გ. გელაშვილი.

გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორად დამტკიცებულია გ. ვ. ბედინეიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. კამშალოვი.

გაიმართა საქართველოს ალკკ ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის სხდომა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ე. ხ. ბაკურაძე.

## უკანასკნელ საათს...

◆ ლოს-ანჯელოსი, 1 მარტი. სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირზე შტეინის ბოლო პარტია პორტთან გადაიდო ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკისათვის უკეთეს პოზიციაში. მეტოქეებმა, როგორც თავიანთ მეორე პარტიაში, ინდური დაცვის ორიგინალური ვარიანტი გაითამაშეს. მაშინ გაიმარჯვა შტეინმა. ამჯერად პორტმა უფრო ძლიერი გაგრძელება მოძებნა. იგი საბჭოთა დიდოსტატისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და ბრძოლა პორტის უპირატესობით წარიმართა. როცა შავმა მხედრებმა საკონტროლო უჯრები დაიკავეს, შტეინი იძულებული შეიქნა პაიკი დაეთმო. პარტიის გადადების წინ კი გამოირკვა, რომ თეთრი ლაშქრის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. ეს დიდმნიშვნელოვანი პარტია შაბათს დამთავრდება, კვირას შედგება მატჩ-ტურნირის ბოლო შეხვედრა: პორტი — რეშევსკი.

ჯერჯერობით მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: შტეინი — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია, რეშევსკი — 3,5 (7-დან) და 1 შეხვედრა მარაგში. პორტს აქვს 2,5 ქულა (6-დან), 1 გადადებული და 1 სათამაშო პარტია.

◆ **რიაზანი,** 1 მარტი. **ჯერ არნახული ჯგუფური გადმოხტომა შეასრულეს ამ ქალაქის მახლობლად სსრ კავშირის საჰაერო-სადესანტო ჯარების ცენტრალური სპორტულ-საპარაშუტო კლუბის პარაშუტისტებმა. ისინი პირველად მსოფლიოში ძალიან მცირე სიმაღლიდან — დედამიწიდან მხოლოდ 100 მეტრის დაშორებიდან მშვიდობიანად დაეშვნენ განსაზღვრულ ადგილას. 50 გაბედულს შორის იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონი სიზუსტეზე ხტომაში ვ. კუდრევატიხი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების აბსოლუტური ჩემპიონი ბ. პროხოროვი, მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი ქალი ლ. მასიჩი და სხვები.**



# ფავორიტთა ტრიუმფი

ჟენევა, 29 თებერვალი. შეჯიბრება წყვილთა სრიალში საბჭოთა ფიგურისტების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა: ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი კვლავ მსოფლიოს ჩემპიონები არიან (315,9 ქულა). აღსანიშნავია, რომ შესრულების არტისტულობისთვის შვიდმა მსაჯმა მათ 5,9, ხოლო ორმა უმაღლესი შეფასება — 6 ქულა მისცა. საპატიო კვარცხლბეკის II საფეხურზე საბჭოთა სპორტსმენები დადგნენ — ტ. ჟუკი-შესტერნიოვა და ა. გორელიკი (311,5 ქულა). III ადგილი წილად ხვდათ ამერიკელებს — ს. და რ. კაუფმანებს (304,3), IV ადგილზე გავიდნენ თ. მოსკვინა და ა. მიშინი.

მაშ, ასე, ბელოუსოვამ და პროტოპოპოვმა 4 წლის მანძილზე ოთხჯერ დაისაკუთრეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობა, ორჯერ კი — ოლიმპიური ოქროს მედლები.

ჟენევა, 1 მარტი. თუ წყვილთა სრიალში საბჭოთა ოსტატების უპირატესობა აშკარა იყო, სპორტულ ცეკვებში უკვე ინგლისელებმა იზეიმეს დიდი გამარჯვება. როგორც მოსალოდნელი იყო, I ადგილი მოიპოვეს დ. ტაულერმა და ბ. ფორდმა. II და III საპრიზო ადგილებიც ინგლისელებს ხვდათ წილად. ესენი არიან ი. სადიკ — დ. კენონი და ჯ. სომრიჯ — დ. ლეინი.

არც საბჭოთა სპორტსმენები გამოვიდნენ ცუდად. ი. გრიშკოვამ და ა. რიჟკინმა V ადგილი დაიკავეს, ხოლო VI — ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა.

• • •

სურათებზე: ზევით — ფიგურული სრიალის უბადლო ოსტატები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი. ეს სურათი ვესტეროსის ევროპულ ჩემპიონატზეა გადაღებული. ლიუდმილამ და ოლეგმა საჩვენებელი გამოსვლის დროს ორიგინალურად დაამთავრეს ცეკვა „მოდერნი"; ქვევით — ყინულზე წყვილთა ცეკვაში უძლიერესნი — დ. ტაულერი და ბ. ფორდი.



# ვეერთდებით კოლეგებს

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ყოველწლიურად აქვეყნებს ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიას. მკითხველებმა კარგად იციან ეს ტრადიცია: თვითეულ ადგილზე კლასიფიკაციური თანმიმდევრობით ცხადდება 3 მოთამაშე.

1967 წლის სეზონის სიამ საგრძნობლად დაიგვიანა. 33 საუკეთესო გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ 1968 წლის 27 თებერვალს, მაგრამ ამ დაგვიანების გარდა ფეხბურთის მოყვარულებმა სიაში იხილეს არა სპორტული კვალიფიკაციის მიხედვით განლაგებული მოთამაშეები, არამედ მხოლოდ ალფავიტური სია. როგორც ფედერაციამ გამოაცხადა, შარშან გუნდები არ მისდევდნენ ერთ რომელიმე გარკვეულ ტაქტიკურ სქემას, ამიტომ შეუძლებელი იქნა ძველი პრინციპის დაცვა. ამის გამო 33 უძლიერესი ფეხბურთელი გამოქვეყნდა 4 კატეგორიის მიხედვით: 3 მეკარე, 12 მცველი, 9 ნახევარმცველი და 9 თავდამსხმელი.

გამოდის რომ, მოთამაშეთა დაყოფა მაინც მომხდარა გარკვეული სისტემის მიხედვით — 1+4+3+3.

„სოვეტსკი სპორტის" რედაქციამ შენიშვნა გაუკეთა ფედერაციის სიას, რომ არ ეთანხმება მოთამაშეთა ასეთ განაწილებას, რომ ალფავიტური პრინციპი კარგავს სპორტულ მნიშვნელობას. მართლაც, 33 უძლიერესი ფეხბურთელის სია იმ სახით, რომლითაც იგი გამოქვეყნებულია, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესებს.

აი, 1967 წლის 33 საუკეთესო ფეხბურთელი:

**მეკარეები** — იაშინი, კავაზაშვილი, პშენიჩნიკოვი.

**დაცვა** — ანიჩკინი, აფონინი, ბრუხტი, ზიკოვი, ისტომინი, ლევჩენკო, სოსნიხინი, ტურიანჩიკი, შესტერნიოვი, შჩეგოლკოვი, ცხოვრებოვი, ხურცილავა.

**შუა ხაზის მოთამაშეები (ნახევარდაცვა)** — ასათიანი, გუსაროვი, ესკოვი, მალოფეევი, მასლოვი, მუდვიდი, მუნტიანი, საბო, სერებრიანიკოვი.

**თავდასხმა** — ბანიშევსკი, ბიშოვეცი, ევრიუჟიხინი, კოხი, მუსტიგინი, ნოდია, სტრელცოვი, ტუაევი, ჩისლენკო.

# კიევის ასკ კვლავ ლიდერია

**რიგა, 29 თებერვალი.** ვეფ-მა მოსკოვის არმიელებს პირველი ტაიმი 6 ქულით მოუგო. მასპინძლებმა ამ უპირატესობის შენარჩუნება მეორე ნახევარში ვერ შეძლეს, მაგრამ წარმატებისთვის 5 ქულაც საკმარისი იყო. ცსკა-მ სატურნირო ცხრილში მეთერთმეტე დამარცხება ჩაიწერა — 54.59.

**სვერდლოვსკი, 29 თებერვალი.** გუშინწინ და გუშინ „ურალმაში" კიევის არმიელებს მასპინძლობდა. სტუმრები უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ ურალელთა მიღებით: მათ ხომ 2 ქულა წაიღეს შინ? პირველი მატჩი „ურალმაშისთვის" ღრმა ნოკაუტით დამთავრდა — 60:80. მეორე დღეს სტუმრებმა მხოლოდ ერთი სნაიპერული სროლით აჯობეს მეტოქეს — 68:66 და... სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე მოიკალათეს.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 26 | 18 | 8 | 1844—1698 | 18 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 24 | 17 | 7 | 1741—1622 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 24 | 16 | 8 | 1787—1654 | 16 |
| ცსკა | 26 | 15 | 11 | 1633—1588 | 15 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 24 | 14 | 10 | 1600—1569 | 14 |
| ვეფ (რიგა) | 26 | 14 | 12 | 1869—1819 | 14 |
| „კალევი" (ტარტუ) | 24 | 13 | 11 | 1585—1541 | 13 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 24 | 12 | 12 | 1702—1689 | 12 |
| ასკ (რიგა) | 24 | 11 | 13 | 1738—1736 | 11 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 24 | 11 | 13 | 1558—1526 | 11 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 26 | 4 | 22 | 1895—2211 | 4 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 24 | 3 | 21 | 1619—1878 | 3 |

# მარცხიანი მეორე წრე

ნოვოსიბირსკსა და კიევში დაიწყო კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის მატჩები. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები წარუმატებლად ასპარეზობენ ნოვოსიბირსკში. მათ უკვე 3 შეხვედრა წააგეს.

გულდასაწყვეტი მარცხი განიცადეს თბილისელებმა ლენინგრადის არმიელებთან. შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ჩვენები წინ იყვნენ 9 ქულით. დარჩენილ დროში ლენინგრადელებმა 10 ქულა აიღეს, თბილისელებმა კი... ვერც ერთი. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 49:50.

სპი-მ წააგო კიდევ ორი მატჩი, მოსკოვის „დინამოსთან" — 48:51 და ვილნიუსის „კიბირკშტისთან" — 43:50. ღღეისთვის გათამაშებას დაუმარცხებლად ლიდერობს რიგის ტტტ.

**სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამას წინათ თბილისში ჩატარდა ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური პირველობა. ამ შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელი, სპორტის ოსტატი რ. ჯინჭარაძე. მან 78,2 ქულა დააგროვა და II საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

ს უ რ ა თ ზ ე: რ. ჯინჭარაძე ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

ფოტო მ. გეგეჭკორისა.

## მესტენდურეებმა სეზონი გახსნეს

გასულ კვირას თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის სტენდზე გაიმართა დედაქალაქის სპორტსმენთა პირადი შეჯიბრება სეზონის გახსნის პრიზზე. ცეცხლის ხაზზე 46 მესტენდურე გამოვიდა. მონაწილეთ 100-100 სამიზნე ეძლეოდათ.

ადგილიდან სროლაში ორი სერიის შემდეგ გამოცდილი ოსტატები — ზ. მაჩხანელი, პ. სარქისოვი და ახალგაზრდა მსროლელი ა. ბუკია დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მაჩხანელმა და საბოლოოდ 100-დან 91 ქულით დაისაკუთრა პირველობა, II ადგილზე გავიდა პ. სარქისოვი, III — ა. ბუკია.

მრგვალ სტენდზე სროლაში ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა სპორტის ოსტატმა ტ. ჟღენტმა, რომელსაც მთელ ტურნირში მხოლოდ 6 სამიზნე „გადაურჩა“. გამარჯვებულს 9 ქულით ჩამორჩა ნ. ჯანაშია, რომელმაც ერთი ქულით აჯობა სპორტის ოსტატ ლ. ხიმონიანს.

ერთი შეხედვით, შედეგები მაღალი როდია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის შემდეგ მონკავშირის სტენდი გაუქმდა და ჩვენს სპორტსმენებს აღარ უვარჯიშიათ. სამხედრო-სამონადირო საზოგადოებამ სტენდის მოწყობით კარგი საქმე გააკეთა. იმედია, თბილისელი მსროლელები მალე აღიდგენენ ფორმას.

**ჯ. მოჭონელიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ცნობები ბათუმიდან

ქალაქის სპორტულ ბაზებზე ერთ კვირას გასტანა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს ქალთა I სპარტაკიადამ. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბათუმის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონის ნაკრები გუნდები. ფრენბურთში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში გაიმარჯვა ბათუმის რაიონის ნაკრებმა.

კალათბურთელთა შეჯიბრებაში ყველას ქობულეთელმა სპორტსმენებმა აჯობეს.

* * *

გაიმართა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს მოზარდთა პირადი პირველობა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ხალიჩაზე 60-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: თავისუფალ ჭიდაობაში — გ. საულიძე, ო. სალუქვაძე (ორივე — ბათუმის რაიონი), ვ. მიქელაძე (შუახევი), გ. მენაბდე, თ. გაგუა, დ. სტეპანიდი, ა. გორგილაძე (ყველა — ბათუმის რაიონი). კლასიკურ ჭიდაობაში — ო. შავიშვილი, ო. სალუქვაძე (ორივე — ბათუმის რაიონი), თ. მანელიშვილი (ქობულეთი), დ. ტაკიძე (ქედა), ტ. გაგუა (ბათუმის რაიონი), თ. სირბილაძე (ქობულეთი), დ. სტეპანიდი (ბათუმის რაიონი), ბ. მანელიშვილი (ქობულეთი), ვ. ევგენიძე და ა. გორგილაძე (ორივე — ბათუმის რაიონი).

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

# ...და მაინც უნდა ითქვას

ნათქვამია, გამარჯვებულს არ ასამართლებენო. ქების მეტი რა გვეთქმის რ. ჯინჯიხაშვილისა და თ. გიორგაძის მისამართით. სსრ კავშირის სტუდენტ მოჭადრაკეთა პირველობაში, რომელიც ამას წინათ ოდესაში ჩატარდა, ორივემ ისახელა თავი. როგორც იცით, ჯინჯიხაშვილმა I-III ადგილები გაიყო, გიორგაძემ კი V-VI. ორივე შეიყვანეს ჩვენი ქვეყნის სტუდენტთა ნაკრებში, რომელიც ივლისში ავსტრიას გაემგზავრება თანატოლთა მსოფლიო გუნდურ პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. და მაინც უნდა ვთქვათ: ჩვენს მოჭადრაკეებს მეტი შეეძლოთ!

იქნებ ზოგიერთმა არ მოგვიწონოს ეს „გასამართლება“. მათ უნდა მოვახსენოთ: თვით რომანი და თამაზი მეტს მოელოდნენ. ნურც გაგიკვირდებათ, ვინაიდან ჭეშმარიტი მოჭადრაკე მუდამ მეტს სთხოვს საკუთარ თავს.

ყოველივე ეს ლიტონი სიტყვები რომ არ იყოს, გავაანალიზოთ ჯინჯიხაშვილისა და გიორგაძის თამაში.

საქართველოს ჩემპიონი რ. ჯინჯიხაშვილი კარგა ხანს და გულდასმით ემზადებოდა პირველობისთვის, მაგრამ უფროს კოლეგებს ეეჭვებოდათ მისი წარმატება, თუმცა საიუბილეო სპარტაკიადაში ჯინჯიხაშვილმა მოუგო მ. ბოტვინიკს, ხოლო ე. გელერთან, მ. ტაიმანოვთან, ბოლესლავსკისთან ყაიმს მიაღწია. საქმე ის არის, რომ შემდგომ მან უხეიროდ ითამაშა „დინამოს“ პირველობაში და საქართველოს მასობრივ ტურნირში.

და აი, სტარტზე ჯინჯიხაშვილმა ზედიზედ ოთხი პარტია მოიგო, შემდეგ კი წააგო მინსკელ ვ. კუპრეიჩიკთან, რომელიც მას ერთპიროვნულ ლიდერობას ეცილებოდა. წაგება როგორ შეიძლებოდა! მით უმეტეს, რომ თავიდან რომანმა მოიპოვა უპირატესობა.

მაგრამ ჯინჯიხაშვილი ამ წაფორხილებამ როდი შეაკრთო. მან მეტი მონდომებით განაგრძო თამაში და კვლავ ერთპიროვნულად დაწინაურდა. და აი, შეხვედრა ერთ-ერთ ლიდერთან, ოსტატ გ. კუზმინთან.

ჩვენს ჩემპიონს კრიტიკულ მომენტში მეტი წინდახედულება უნდა გამოეჩინა, მაგრამ ისევ აჩქარდა და აშკარად მოგებული პარტია... ყაიმით დაამთავრა.

**კუზმინი**



**ჯინჯიხაშვილი**

ჯინჯიხაშვილის უპირატესობა აშკარაა. იგი აგნებს მოგების გონებამახვილურ და ეფექტურ გზას.

36. კf6! g6 37. ლ:h5+! gh 38. კ:f5+ მფh6 39. ეg6+ ლ:g6 (აგებდა აგრეთვე 39. ... მფh7 40. ეg8+ მფh6 41. ე1g6+ მფh7 42. ე6g7+ მფh6 43. კg5) 40. ე:g6+ მფh7 41. ეg7+ მფh8 42. ეh7+? (უბრალოდ იგებდა ეტლის უკანდახევა g ხაზზე) 42. ... მფg8 43. კg6 ე:c2+ 44. მფg3 ეg2+ 45. მფ:g2 მ:f4+ 46. მფg3 მ:g6 47. ეg7+ ყაიმი.

სწორედ აქ დაკარგული ნახევარი ქულა დააკლდა ბოლოს ჯინჯიხაშვილს, თორემ I ადგილს დაისაკუთრებდა. თუ სიმართლე გნებავთ, მან ფინიშზეც „დაფანტა“ ქულები.

ჯინჯიხაშვილი დიდად ნიჭიერი ოსტატია. იგი სწრაფად ანგარიშობს ვარიანტებს, მაგრამ ზოგჯერ აშკარა მიამიტობას იჩენს და ცდება. ეს სიჩქარით მოსდის. ჯინჯიხაშვილს უყვარს კომბინაციური თამაში, შეწირვა, მეტოქის მეფეზე მოულოდნელი თავდასხმა. აი, მაგალითად, მისი სტილისთვის დამახასიათებელი პარტია:

**ჯინჯიხაშვილი — ალბურტი**
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6 3. მc3 მc6 4. კb5 მd4 5. 0—0 a6 6. კd3 მ:f3+ 7. ლ:f3 ლc7 8. b3 მf6 9. კb2 კd6 10. ლh3 b5?

შეცდომაა. 10. ... 0—0-ზე ჯინჯიხაშვილს შენიღბული მუქარა ჰქონდა: 11. f4 კ:f4 12. e5 ლ:e5 (და არა 12. ... კ:e5 13. ე:f6-ის გამო) 13. მe4 მოგებით.

11. კ:b5 კf4 (აგებს 11. ... ab 12. მ:b5 ლb8 13. მ:d6+ ლ:d6 14. e5) 12. კd3 e5 13. ლf3 კ:d2 14. ლg3 კb7 (არახელსაყრელია 14. ... 0—0 15. მd5 მ:d5 16. კ:e5-ის გამო) 15. ლ:g7 მფe7 16. კc4 ეaf8 17. f4.

თეთრები იწყებენ გადამწყვეტ იერიშს. ჯინჯიხაშვილი გვერდს უვლის დაგებულ მახეს: 17. კ:f7 ე:f7 18. ლ:h8 კh6.

17. ... კe3+ 18. მფh1 ეhg8 19. fe.

კარგი პარტიის კარგი ფინალი. ლაზიერის შეწირვა ბრძოლას ამთავრებს.

19. ... ე:g7 20. ef+ მფd8 21. fg ეg8 22. ე:f7 კh6 23. მd5 კ:d5 24. კ:d5. ალბურტი დანებდა.

ჩემმა ახალგაზრდა მოგვარემ თამაზ გიორგაძემ ბოლო წლებში საერთო აღიარება მოიპოვა. იგი წარმატებით თამაშობს როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ტურნირებში. თამაზს არ უყვარს გაურკვეველი პოზიციები და წაგება. მის აქტივში ყაიმები ჭარბობს. ეს სტუდენტთა შეჯიბრებაშიც შეიმჩნეოდა.

აი, გიორგაძის პარტია სომხეთის ჩემპიონ ლ. გრიგორიანთან:

**გიორგაძე — გრიგორიანი**
სიცილიური დაცვა.

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 ლb6 4. მc3 e6 5. 0—0 მge7 6. ეe1 მd4 7. კf1 მg6 8. a3 კe7 9. ეb1 a5 10. a4 0—0 11. b5 d5 12. მf:d4 cd 13. ed ed 14. კd3.

თეთრებმა მეთოდური თამაშით გარკვეული პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს. მათი მიზანია ეს უპირატესობა მატერიალურად აქციონ.

14. ... კf6 15. ლh5 კe6 16. b3 h6 17. კa3 მf4 18. ლf3 მ:d3 19. ლ:d3 g6.

გრიგორიანი ვერ ურიგდება არახელსაყრელ პოზიციას და ხარისხის დათმობით კონტრთამაშის მიღებას ფიქრობს.

20. კ:f8 ე:f8 21. ლf3 მფg7 22. d3 ლc5 23. ეe2 კd7 24. ლg3 კ:b5 25. ab ეc8 26. h4.

დაყოვნება უკვე აღარ შეიძლება. შავების ინიციატივა ლაზიერის ფრთაზე მრისხანე სახეს ღებულობს. აუცილებელია იერიში შავ მეფეზე.

26. ... h5 27. f4 ლ:b5 28. f5 ლd7 29. ეf1 b5 30. fg fg 31. ლe1 a4 32. ba ba 33. ეe6.

იერიშიც დაიწყო. მისი უვნებელყოფა შეუძლებელია.

33. ... კ:h4 34. ლe5+ მფh7 35. ეf5.

დაუყოვნებლივ იგებდა 35. ეf6. თამაში ოდნავ ჭიანურდება.

35. ... ლg7 36. ე:h5+ gh 37. ლ:h5+ მფg8 38. ეg6 კf6 39. ლ:d5+ მფh8 40. ლh5+ მფg8 41. ლf5 ეf8 42. ე:g7+ კ:g7 43. ლa5 ეe8 44. ლ:a4 ეe3 45. მფf2 კf6 46. g3 ეe5 47. ლc4. გრიგორიანი დანებდა.

გიორგაძეს ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, ვ. ტუკმაკოვთან სიცხიანს მოუხდა თამაში და უბრძოლველად წააგო. ამას გარდა, გუნდში ჩასარიცხად ექვსეულში მოხვედრაც კმაროდა და თამაზმაც ალბათ ამიტომ აღარ დაატანა თავს ძალა. ყოველ შემთხვევაში, იგი თავადაც გრძნობს, რომ სატურნირო ცხრილში უფრო საპატიო ადგილზე უნდა ყოფილიყო.

ჯინჯიხაშვილსა და გიორგაძეს წლეულს რამდენიმე სერიოზული ტურნირი ელით. ბუნებრივია, იმედი გვაქვს მათი წარმატებისა და ჩვენმა მოჭადრაკეებმა ეს იმედი უნდა გაგვიმართლონ.

სტუდენტთა პირველობაში ჭაბუკი ოსტატი ე. უბილავაც მონაწილეობდა, მაგრამ იგი მოუმზადებელი და რაც მთავარია, დაღლილი იყო სსრ კავშირის მასობრივ პირველობაში მონაწილეობისა და ზამთრის სესიების ჩაბარების შემდეგ. მიუხედავად ამისა, ელიზბარმა რამდენიმე პარტია შესანიშნავად ითამაშა. ამჯერად არ ვუსაყვედურებთ, მაგრამ შემდგომ იგი უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდოს ტურნირებში მონაწილეობის განრიგს.

**თ. გიორგაძე.**



**რ. ჯინჯიხაშვილი**



**თ. გიორგაძე**

# დააშამათეს...

ვ. კალანდაძის (თბილისი) ოთხსვლიანი საჭადრაკო ამოცანა, რომელიც „ლელოს“ 39-ე ნომერში იყო გამოქვეყნებული, სწორად ამოხსნეს: ნ. ბელქანიამ (წალენჯიხა), ნ. გიგაშვილმა (გორი), მ. კურტანიძემ (დაბა ორჯონიკიძე), თ. კუბლაშვილმა (ტყიბულის რაიონის სოფ. ხრესილი), ზ. და გ. გუდაშვილებმა (ცხაკაია), შ. კაკიაშვილმა (რუსთავი), მ. ფარცხალაძემ (ზესტაფონი), ჯ. სალირაშვილმა (გორის რაიონი, სოფ. კარბი), ზ. შენგელიამ (სამტრედია) და ზ. ცინცაძემ (თბილისი).

ამოცანის ამოხსნა: 1. ეc7! მფ:h6 2. მფf5 მფh5 3. ეh7×. 1. ... მფf6 2. h7 მფg6 3. h8ე; 2. ... მფe6 3. h8ლ.

## ჭადრაკის დაფებთან

### „დინამო“

დედაქალაქის დინამოელთა საჭადრაკო პირველობაში 12 მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ოსტატობის კანდიდატმა მ. ჩაგუნავამ (9 ქულა), II ადგილი ხვდა ოსტატობის კანდიდატ ა. კირვალიძეს (8), III — ი. გასპაროვს (7,5). საინტერესოა, რომ მათ არც ერთი პარტია არ წაუგიათ.

**გ. ოსიპოვი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

### „განთიადი“

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკეთა პირველობაში თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორისა და ზუგდიდის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა გ. კალატოზიშვილმა (თბილისი) — 9,5 ქულა 11-დან. II-III ადგილები გაიყვეს უხუცესმა საბჭოთა ოსტატმა, 68 წლის ნ. სოროკინმა (თბილისი) და გ. ქანთარიამ (ქუთაისი) — 8-8.

ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული.

**ბ. ფამილიანტი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## რაიონში საუკეთესო

თბილისის ლენინის რაიონის მოსწავლეთა ტურნირში 20 სკოლის 205 მოცურავე ცდიდა ძალას და ყველას მე-13 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა აჯობეს. ისინი უძლიერესნი იყვნენ როგორც უმცროსი, ისე უფროსი ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში. ამ სკოლის მეცხრეკლასელმა ა. ფეოკტისტოვმა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში I თანრიგზე უკეთესი შედეგი აჩვენა. თავი ისახელა მეათეკლასელმა ი. ეფიმოვამაც, რომელსაც ამავე დისტანციაზე ამავე სტილით შეჯიბრებაში მხოლოდ 0,5 წამი დააკლდა, რომ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეესრულებინა. I თანრიგის ნორმატივი შეასრულა მათმა თანაგუნდელმა ი. ბოროდინმაც (100 მეტრზე თავისუფალი სტილით — 1.00,8).

კარგად გამოვიდნენ ლ. ოსიპოვა (მე-15 სკოლა), მ. ბერიანიძე (მე-10 სკოლა) და სხვ.

**ა. გურასაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კართან მიჯაჭვული „ტორპედო“

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 29 თებერვალი.
„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2 (1:1).
„დინამო“: კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, ჰელიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ილიადი, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია, მესხი.
„ტორპედო“: კავაზაშვილი, იანეცი, შუსტიკოვი, ნეპომილუევი, ლენიოვი, ჩუმაკოვი, გერშკოვიჩი (შალიმოვი), სტრელცოვი, შჩერბაკოვი, ბრედნევი, პაისი.
მსაჯი ვ. ხოლინი (მინსკი).

თბილისის „დინამოს“ წინასასეზონო მატჩებიდან, რომლებიც გუნდმა ჩაატარა 29 თებერვლამდე, პირდაპირ ვიტყვით, არც ერთი არ იყო მოსაწონი. კიდევ მეტიც: მოსკოვის „ლოკომოტივთან“, პოლონეთის „გურნიკთან“, ქუთაისის „ტორპედოსთან“, თბილისის „ლოკომოტივთან“ დინამოელთა მიერ ნათამაშევი შეხვედრები სერიოზული შეშფოთების ობიექტს წარმოადგენდა. თბილისის „დინამო“ აშკარად არ იყო ფორმაში.

რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში ვღებულობთ ყველა სიძნელეს, რომელთა წინაშეც თბილისელი ფეხბურთელები დგანან. რიგი მოწინავე მოთამაშეები ნაკრებშია წასული, რიგი ვერ გამოდის ავადმყოფობისა და ტრავმების გამო. ასეთ დანაკლისს ვერ შეავსებს ვერაფერი, მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში არაა. ისინი, ვინც მინდორზე იყო, ერთობ შორს იდგნენ მომზადების სასურველი დონისგან. გუნდი კოჭლობდა.

და აი, „ენძელას“ თასის მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“. ეს იყო ნამდვილი სპორტული სანახაობა, ძალზე დაძაბული და საინტერესო თამაში, რომლის მსგავსს შუა სეზონის კალენდარულ შეხვედრებშიც ვერ ნახავ ყოველთვის. წვიმიანი ამინდი და ატალახებული მინდორი ვერაფერი ხელშემწყობი პირობებია ფეხბურთელებისთვისაც და მაყურებლებისთვისაც, მაგრამ ამ „ანტიმეტეოროლოგიური“ ვითარების მიუხედავად, ფეხბურთელებმაც საუცხოოდ ითამაშეს და მაყურებლებმაც დიდი სიამოვნება მიიღეს.

ჩვენს გუნდში უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მოწინავე ფორვარდების — მეტრეველისა და მესხის სრულფასოვანი გამოსვლა. საკმარისი გახდა ამ ორ თავდამსხმელს აეღო ხელთ ინიციატივა და სრული შესაძლებლობით გაეშალა თამაში, რომ ტორპედოელთა დაცვაში სრულმა დეზორგანიზაციამ იჩინა თავი. ფლანგებზე წამოწყებულმა მწვავე იერიშებმა მხარდაჭერა ჰპოვა არა მარტო ცენტრში (გავაშელი, ლ. ნოდია) და ნახევარდაცვაში (კუტივაძე, ილიადი), არამედ დაცვაშიც და მოსკოველებს ბურთისთვის ბრძოლა უხდებოდათ ზედ კარის სიახლოვეს, მეკარის მოედანზე. ერთადერთი ნაკლი ამ მატჩისა იყო ის, რომ დინამოელებმა მოწინააღმდეგის კონტრიერიშებისას ყურადღებით ვერ ითამაშეს და იოლი ბურთები გაუშვეს, საკუთარი ხანგრძლივი შეტევის დროს კი მრავალი შესაძლებლობა დაკარგეს საგრძნობი განსხვავებით მოეგოთ თამაში. „ენძელას“ თასზე ქულის დაკარგვა დასანანია, მაგრამ კიდევ უფრო დასანანია ასეთი კარგი თამაშის ფრედ დამთავრება, მით უმეტეს, რომ ორივეჯერ მოგვიხდა ბრძოლა ანგარიშის გათანაბრებისთვის.

ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა შჩერბაკოვმა, რომელმაც კარიდან რამდენიმე მეტრის მანძილზე მიიღო სტრელცოვის შესანიშნავი გადაცემა — 1:0. 34-ე წუთზე მეტრეველმა და მესხმა სწრაფად გაითამაშეს საჯარიმო დარტყმა. მესხმა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი, რომელიც კავაზაშვილისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა — 1:1.

ტორპედოელები დაწინაურდნენ შესვენების შემდეგ, როცა კარიდან წინ გამოსულ კოტრიკაძეს თავით გადაუგდო ბურთი სტრელცოვმა — 2:1. თანაფარდობა აღადგინა მესხმა. მან თავით გაიტანა კუთხურიდან მოწოდებული ბურთი.

რ. ქორიძე.

* * *



სურათზე: განვლილი მატჩის მომენტი. ტორპედოელთა მეკარე ა. კავაზაშვილი ძნელ ბურთს იღებს ლ. ნოდიასთან ბრძოლაში.
ფოტო ს. კოტორაშვილისა.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 2 მარტისთვის

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3—2 | 2 |
| „პოლიტოტდელი“ (ტაშკ. ოლქი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2—1 | 2 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1—2 | 2 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—3 | 1 |

### II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (როსტოვი) | 2 | 2 | 0 | 0 | 3—0 | 4 |
| „არარატი“ (ერევანი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2—1 | 2 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 1 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—2 | 1 |
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—2 | 1 |

### III ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—2 | 5 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 | 3 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „დინამო“ (თბილისი) | 3 | 0 | 2 | 1 | 4—6 | 2 |
| „დინამო“ (კიევი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „დინამო“ (მინსკი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—2 | 1 |

### IV ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 | 3 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3—2 | 3 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 2 | 1 | 0 | 1 | 4—2 | 2 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 2 | 1 | 0 | 1 | 3—3 | 2 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 2 | 1 | 0 | 1 | 3—3 | 2 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 2 | 0 | 0 | 2 | 0—5 | 0 |

## საწვრთნელი მატჩი

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდი საწვრთნელი მატჩის ჩასატარებლად ეწვია წალენჯიხას, სადაც შეხვდა ადგილობრივ „კოლმეურნეს“. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ახალგაზრდული ნაკრების გამარჯვებით — 2:0.

ო. სალია.

წალენჯიხა.

# 4 ნაბიჯის წესი

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ფიფა-მ შარშან დააკანონა 4 ნაბიჯის წესი მეკარეთათვის. ეს სიახლე წესებში დაწესდა იმიტომ, რომ მეკარეები თამაშის მსვლელობაში ბოროტად იყენებდნენ დროის გაჭიანურების შესაძლებლობას და აყოვნებდნენ თამაშს, როცა ეს მათ ხელს აძლევდა.

ეს წესი საერთაშორისო შეხვედრებში ძალაში შევიდა შარშან, წლეულს კი მოქმედებაში შევა ჩვენს ქვეყანაშიც. ამასთან დაკავშირებით ზედმეტად არ მიგვაჩნია საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს განვუმარტოთ ამ სიახლის მნიშვნელობა, ვინაიდან 4 ნაბიჯის რეფორმა რესპუბლიკურ ჩემპიონატშიც შემოვა.

ახალი წესი ფორმულირებულია შემდეგნაირად:

თუ ფეხბურთელი თამაშობს მეკარედ და:

ა) მას შემდეგ, რაც დაიჭერს ბურთს, გააკეთებს ოთხ ნაბიჯზე მეტს და არ შეიყვანს ბურთს თამაშში, ე. ი. არ მიაწოდებს მას სხვა მოთამაშეს, გუნდი დაჯარიმდება თავისუფალი დარტყმით, რომელსაც შეასრულებს მოწინააღმდეგე გუნდი იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა;

ბ) თუ მეკარე გამოიყენებს ტაქტიკას, რომელიც მსაჯის აზრით მიზნად ისახავს დროის გაჭიანურებას (4 წამზე მეტი) და ამით გარკვეულ არასპორტულ უპირატესობას ანიჭებს თავის გუნდს. აქაც ინიშნება თავისუფალი დარტყმა.

ძველი წესებით, მეკარეს უფლება ჰქონდა ყოველი 4 ნაბიჯის შემდეგ ბურთი მიწაზე დაეგდო და კვლავ დაუფლებოდა მას. ამას გარდა, მას შეეძლო ბურთით ხელში მდგარიყო, რასაც იგი ხშირად იყენებდა მხოლოდ დროის გაყვანისთვის.

3 მარტს იწყება რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში და „ბ“ კლასის გუნდების ტურნირი სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის თასზე. ჩვენი გუნდების ხელმძღვანელები და მწვრთნელები ვალდებული არიან გააცნონ თავიანთ მოთამაშეებს ახალი წესი, რათა ისინი მზად შეხვდნენ ამ მნიშვნელოვან ხამხაჯო პუნქტს.

4 ნაბიჯის ახალი წესი შ. შავგულიძის სახელობის ტურნირზე ძალაში შევა პირველივე ტურიდან — 3 მარტიდან, ხოლო რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილეთათვის იგი მოქმედებაში შევა 10 მარტიდან.

გ. ბაქანიძე,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის მეთოდური კომისიის თავმჯდომარე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## I ტურის განრიგი

8 მარტს იწყება ჩვენი რესპუბლიკის „ბ“ კლასის გუნდების ტრადიციული ტურნირი სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასზე. მოგვყავს I ტურის მატჩების კალენდარი:

I ქვეჯგუფი

„შუქურა“ (ქობულეთი) — „დინამო“ (სოხუმი)
„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „გურია“ (ლანჩხუთი)
„კოლხეთი“ (ფოთი) — „ენგური“ (ზუგდიდი)

II ქვეჯგუფი

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი)
„ალაზანი“ (გურჯაანი) — „დილა“ (გორი)
მახარაძის „მერცხალი“ თავისუფალია.



# ქალთა ტრადიციული...

კარგ ტრადიციად იქცა ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ასეა წლეულსაც: რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ჩატარდება ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები. ქვემოთ მოგვყავს შეჯიბრებების სახეობები, ვადები და ჩატარების ადგილები.

**კალათბურთი.** სამტრედია. 3-8 მარტი.
**ბადმინტონი.** სოხუმი. 6-8 მარტი.
**ტანვარჯიში.** ქუთაისი. 7-8 მარტი.
**მხატვრული ტანვარჯიში.** ქუთაისი. 7-8 მარტი.
**ფრენბურთი.** გორი, ხაშური. 3-8 მარტი.
**მძლეოსნობა.** თბილისი. 7-8 მარტი. „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 11 ს.
**ცურვა.** თბილისი. 7-8 მარტი. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი. დასაწყისი 10 ს.
**წყალში ხტომა.** თბილისი. 7-8 მარტი. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი. დასაწყისი 12 ს.
**ხელბურთი.** ფოთი. 3-8 მარტი.
**ჩოგბურთი.** თბილისი. 6-8 მარტი. ქალაქის სპორტკავშირის საჩოგბურთო კორტები. დასაწყისი 11 ს.
**მაგიდის ჩოგბურთი.** ბათუმი. 5-8 მარტი.
**ფარიკაობა.** თბილისი. 7-8 მარტი. „ბურევესტნიკის“ დარბაზი. დასაწყისი 11 ს.
**ჭადრაკი.** სოხუმი. 2-8 მარტი.

# თავს არ დავზოგავთ

4 მარტს თბილისში, ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში იწყება სსრ კავშირის „ა“ კლასის I ჯგუფის წყალბურთელთა გუნდების ჩემპიონატი. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ვ. გოიაშვილს. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.

● **რა სისტემით ტარდება წყალბურთელთა წლევანდელი ჩემპიონატი და ვინ იღებს მასში მონაწილეობას?**

— ჩემპიონატის ჩატარების წესი ამჯერად შეცვლილია. წლევანდელი შეჯიბრება 2 წრედ ტარდება. I წრე, როგორც იცით, თბილისში გათამაშდება, ხოლო II — მოსკოვში (აპრილში). ჩემპიონობის ბედი მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება. გარდა ამისა, ბოლო ადგილზე გასული გადავა „ა“ კლასის II ჯგუფში, ხოლო ამ ჯგუფში გამარჯვებული გადავა „ა“ კლასის I ჯგუფში ითამაშებს. წლეულს პირველობისთვის 10 კოლექტივი იბრძოლებს. ესენი არიან: სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონი (1967 წელს ჩვენი ქვეყნის წყალბურთელები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით ასპარეზობდნენ) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყალოსნო სპორტკლუბის გუნდი (მოსკოვი), მოსკოვის „ტორპედო“, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, მოსკოვის „დინამო“ (სხვათა შორის, ამ გუნდმა მოსკოვის წლევანდელ ჩემპიონატში შესანიშნავად იასპარეზა და I ადგილი დაიკავა), თბილისის, ლვოვის და კიევის დინამოელები, ლენინგრადის „ბალტიკა“, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის კოლექტივი (ბაქო) და ვოლგოგრადის „სპარტაკი“.

● **როგორია თბილისის ტურის რეგლამენტი?**

— მატჩები გაიმართება 4-14 მარტს, შეხვედრები 17 საათზე დაიწყება. გუნდებს ორი დასვენების დღე ექნებათ — 7 და 11 მარტს.

● **როგორ მოემზადა ჩვენი გუნდი, აქვს თუ არა მას საპრიზო ადგილის მოპოვების შანსი?**

— პირდაპირ ვიტყვი, საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება, გაგვიძნელდება ქულების მოპოვება. საქმე ის არის, რომ გუნდს ერთბაშად გამოაკლდა 3 მაღალი კლასის მოთამაშე — ლ. გოგოლაძე (ასპირანტურაში განაგრძობს სწავლას), გ. ჩიქვანაია (მოსკოვის „დინამოში“ გადავიდა) და ი. სხირტლაძე (მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშობს). მათ მაგიერ მოვიდა ახალგაზრდობა: ა. ლომიძე (ნორჩი დინამოელიდან), ვ. დადივაძე, თ. ჩხილაძე, ნ. კურტანიძე (ყველა — თბილისის განათლების განყოფილების გუნდიდან) და სხვები. ახალგაზრდებს გუნდში დახვდნენ მ. გულუდანი, ს. ნიჟარაძე, ო. მიმინოშვილი, ვ. სანაძე, ჯ. წიკლაური, ბ. მეგედო... შეჯიბრებისთვის ყველა გულმოდგინედ ემზადებოდა და ახლა მხოლოდ ეს შეგვიძლია ვთქვათ: თბილისელები მთელი მონდომებით იბრძოლებენ.

● **მიიღებენ თუ არა დინამოელები მონაწილეობას სხვა წლევანდელ შეჯიბრებებში?**

— ჩვენი გუნდი ითამაშებს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში. ამ ზაფხულს განზრახული გვაქვს საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების გამართვა იტალიასა და იუგოსლავიაში.





საქართველოს ჩემპიონები სათხილამურო სპორტში. მარცხნივ — თბილისის ქალთა გუნდი (მარცხნიდან: თ. ნაკანი, ქ. კეხბა და ნ. ბალაშვილი); მარჯვნივ — ბორჯომის რაიონის ვაჟთა კვარტეტი — გ. სანაკოევი, რ. მაკიევი, ა. ქუმარიტაშვილი და ლ. სოლოიანი ასპარეზობის შემდეგ.

ფოტო ო. გელაშვილისა.

**fotbal • calcio • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • Labdarugas • nogomet**

# როგორც იქნა...

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში დიდი ხანია დავაა იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ოფიციალურ ტურნირებში, კერძოდ, მსოფლიო ჩემპიონატში, ნება დაერთოს მოთამაშეთა შეცვლას მატჩის მსვლელობაში. ფიფა-ში შემავალი ეროვნული ფედერაციების წარმომადგენელთა უმეტესობა მომხრე იყო იმისა, რომ ასეთი შეცვლები მოხდეს, სულ ერთია, ტაქტიკური მოსაზრებით იქნება ეს, თუ მოთამაშეთა ტრავმის გამო.

ფიფა ბოლო ხანებამდე თავს იკავებდა ამ ლოგიკური წინადადების დადებითად გადაწყვეტისგან. მაგრამ სულ ახლახან კონსერვატორებმა პოზიცია შეცვალეს. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა, აგრეთვე, ტექნიკური განვითარების კომისიამ დაადგინეს მთელი მატჩის მანძილზე ნება დაერთოს 2 მოთამაშის შეცვლას იმ 5 სათადარიგოდან, რომელთა გვარები თამაშის დაწყების წინ ჩაიწერება ოქმში. ახალი წესი ძალაში შევა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებიდან.

რამდენიმე კონსტრუქციული დადგენილება გამოიტანა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმაც, მაგრამ ეს ცვლილებანი უნდა დამტკიცდეს ასოციაციის მომავალ კონგრესზე.

ამრიგად, 2 მოთამაშის შეცვლა ნებადართულია ევროპულ ტურნირებშიც. ამას გარდა, ამ ტურნირებში გამარჯვებული გუნდები მიიღებენ არა 11 მედალს, როგორც ეს იყო ადრე, არამედ 13-ს.

მნიშვნელოვან დადგენილებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ევროპულ ტურნირებში აღარ ექნება ადგილი ბრმა კენჭისყრას ქულებისა და გოლების თანაფარდობის დროს. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარი იქნა, მესამე, დამატებითი მატჩის შემდეგ უპირატესობას გადაწყვეტს კუთხურ მოწოდებათა რაოდენობა.

დადგინდა ევროპის 1969 წლის შეჯიბრებათა ფინალური ტურნირების ვადები. 21 მაისს შედგება თასების მფლობელთა თასის ფინალი, ხოლო 1 კვირის შემდეგ — ჩემპიონთა თასის ფინალი.

თუ იტალიის გუნდი ევროპის 1968 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაიმარჯვებს, მას დაეკისრება წლევანდელი ფინალური შეჯიბრების ჩატარება თავის ქვეყანაში. თუ იტალიელები დამარცხდებიან ბულგარეთის ნაკრებთან შეხვედრაში, ფინალის ორგანიზატორი იქნება ესპანეთი ან ინგლისი (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაიმარჯვებენ მეოთხედფინალში).

დაბოლოს, დადგინდა ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩების ვადები სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. პირველი შეხვედრა გაიმართება 21 მაისს, ხოლო მეორე — 2 ივნისს.

## უკანასკნელი შესარჩევი

ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელ შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ VIII ჯგუფის გუნდები — უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია. უელსის ნაკრებმა დიდი უპირატესობით ჩაატარა მატჩი და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

ამით მთლიანად დასრულდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების სერია. VIII ჯგუფის გუნდების საბოლოო მდგომარეობა ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 4 | 1 | 1 | 15—5 | 9 |
| შოტლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 10—8 | 8 |
| უელსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6—12 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 1 | 4 | 2—8 | 3 |

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

### იტალია

ჩემპიონატის XXI ტურში მილანის „ინტერნაციონალემ“ შინ მოუგო „ვარეზეს“ — 1:0. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ატალანტა“ — „რომა“ 2:1, „კალიარი“ — „მანტოვა“ 2:2, „ფიორენტინა“ — „ბოლონია“ 1:0, „სამპდორია“ — „ბრეშია“ 1:0, „სპალი“ — „ტორინო“ 0:0, „ნაპოლი“ — „ლანეროსი“ 1:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 21 | 39:20 | 32 |
| „ნაპოლი“ | 21 | 22:16 | 26 |
| „ტორინო“ | 21 | 30:17 | 25 |
| „ვარეზე“ | 21 | 23:17 | 25 |
| „ინტერნაციონალე“ | 21 | 29:21 | 23 |

### პორტუგალია

თასის მფლობელმა — სეტუბალის „ვიტორიამ“ შინ სძლია ქვეყნის ჩემპიონსა და გათამაშების ლიდერს — ლისაბონის „ბენფიკას“ — 2:0. ტურის სხვა შედეგები ასეთია: „სპორტინგი“ (ბრაგა) — „აკადემიკა“ 1:1, კუფ — „ფკ პორტუ“ 2:1, „ტირსენსე“ — „ვარზიმი“ 2:0, „ლეიქსოსი“ — „ვიტორია“ (გიმარაისი) 3:1, „ბელენენსესი“ — „ბარეირენსე“ 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპორტინგი“ (ლის.) | 17 | 39:13 | 29 |
| „ბენფიკა“ (ლის.) | 17 | 44:15 | 27 |
| „ფკ პორტუ“ | 17 | 42:15 | 24 |

### ესპანეთი

მადრიდის „რეალმა“ გასვლით მატჩში 2 ქულა დაკარგა „ვალენსიასთან“ — 0:2. დანარჩენი შედეგები ასეთია: „რეალ სოსიედადი“ — „ესპანიოლი“ 0:1, „ბარსელონა“ — „საბადელი“ 3:1, „პონტევედრა“ — „ბეტისი“ 1:1, „ელჩე“ — „კორდოვა“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მად.) | 22 | 42:19 | 30 |
| „ლას პალმასი“ | 21 | 40:29 | 28 |
| „ბარსელონა“ | 22 | 35:23 | 28 |

### ავსტრია

შესვენების შემდეგ განახლდა ავსტრიის ჩემპიონატი. ვენის „რაპიდმა“ შინ მოუგო გრაცის „შტურმს“ — 4:2. ასევე გაიმარჯვა ვენის „აუსტრიამ“ ზალცბურგის „აუსტრიასთან“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რაპიდი“ (ვენა) | 14 | 46:12 | 24 |
| „აუსტრია“ (ვენა) | 14 | 24:11 | 21 |
| „ვინერ შკ“ | 14 | 27:14 | 19 |

### ბელგია

ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ დაამარცხა „ბერინგენი“ — 2:0, ხოლო მისმა მეტოქემ „ფკ ბრიუჟმა“ აგრეთვე 2 ქულა აიღო „ბევერენსთან“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხ.“ (ბრიუს.) | 20 | 45:15 | 31 |
| „ფკ ბრიუჟი“ | 20 | 37:13 | 30 |
| „სტანდარდი“ (ლიეჟი) | 20 | 36:28 | 26 |

## 3 : 1

სევილიაში (ესპანეთი) შედგა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ესპანეთისა და შვეციის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში მოიგეს ესპანელებმა ანგარიშით 3:1.

# ევროპის ქვეყნების...

### ჩემპიონთა თასზე

მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდის“ სტადიონზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში გასულ სამშაბათს ადგილობრივმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიიღო „გურნიკი“ (პოლონეთი).

I ტაიმი ინგლისელთა განუწყვეტელი შეტევებით აღინიშნა. „გურნიკი“ თითქმის 9 მოთამაშის შემადგენლობით იცავდა თავს, დიდი დატვირთვა აწვა სტუმართა მეკარე კოსტკას. ინგლისელებმა პირველ ნახევარში 14 (!) კუთხური მოაწოდეს და კოსტკას ოსტატობამ ბევრჯერ იხსნა პოლონელთა კარი.

მეორე ტაიმი ლიუბანსკის ძალზე სახიფათო რეიდით დაიწყო, მაგრამ ინგლისელებმა კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა და მორიგი შტურმი წამოიწყეს. ბესტის მიერ ზუსტად დარტყმულმა ბურთმა გვერდი აუარა ყველას, მოხვდა „გურნიკის“ მცველს ფლორენსკის და საკუთარი კარის ბადეში გახვია — 1:0. მატჩის მიწურულში რაიანისა და კიდის კომბინაცია მეორე გოლით დამთავრდა — 2:0.

ბრიტანელმა კომენტატორებმა მატჩს შესანიშნავი სანახაობა უწოდეს. მანჩესტერელთაგან აღნიშნავენ ბესტს, კრერანდს, რაიანს. საპასუხო შეხვედრა 13 მარტს შედგება პოლონეთში.

* * *

ტურინში (იტალია) ამავე გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში ადგილობრივი „იუვენტუსი“ შეხვდა ბრაუნშვაიგის „აინტრახტს“ (გფრ), რომელთანაც პირველი მატჩი წაგებული ჰქონდა — 2:3.

იტალიელებმა ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად ვერა და ვერ მოახერხეს გოლის გატანა მატჩის უკანასკნელ წუთამდე, სანამ გერმანელთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო არ დაინიშნა — 1:0. ამრიგად, გუნდებს მოუწევთ მესამე, დამატებითი შეხვედრა, რომელიც ნახევარფინალისტს გამოავლენს.

### თასების მფლობელთა თასზე

ლიეჟში (ბელგია) ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ადგილობრივი „სტანდარდი“ შეხვდა იტალიის „მილანს“. იტალიელებმა მიაღწიეს ფრეს — 1:1. საპასუხო მატჩი ერთი კვირის შემდეგ მოეწყობა.

### ბაზრობათა თასზე

იზმირში (თურქეთი) ბაზრობათა თასზე ადგილობრივმა „გიოზთეფემ“ მიიღო ნოვი სადის „ვოევოდინა“ (იუგოსლავია). ისევე, როგორც პირველ შეხვედრაში, გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 1:0. „ვოევოდინა“ გავიდა მეოთხედფინალში, სადაც შეხვდება იტალიის „ბოლონიას“.

ციურიხში (შვეიცარია) ამავე გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში ადგილობრივმა „ფკ ციურიხმა“ მოუგო ლისაბონის „სპორტინგს“ (პორტუგალია) — 3:0.

# მაიერი კვლავ იმარჯვებს

**კარლსტადი** (შვეცია), 29 თებერვალი. მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ნორვეგიელმა ფ. ა. მაიერმა ამ ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში წლეულს მეათედ გაიმარჯვა 5.000 მეტრზე ციგურებით რბენაში. 10 გამარჯვება თერთმეტ შეჯიბრებაში — ასეთია შესანიშნავი ნორვეგიელი სტაიერის შედეგები წლევანდელ სეზონში.

მაიერთან ერთად წყვილში გამოდიოდა ოლიმპიური ჩემპიონი 10.000 მეტრზე რბენაში ი. ჰოგლინი. დისტანციის ნახევარი რომ გაიარეს, ჰოგლინი ჩამორჩა, მაიერმა უპირატესობა უფრო გაზარდა და ფინიშთან პირველი მივიდა — 7.43,2.

შედეგებზე, რა თქმა უნდა, იმოქმედა ამინდმაც: ძლიერი ნისლი იყო. II ადგილზე გავიდა სანდლერი — 7.49,9, III — ბოლსი — 7.50,5.

500 და 1.500 მეტრზე გაიმარჯვეს შვედმა ხ. ბერჟესმა (41,3) და ნორვეგიელმა მ. ტომასენმა (2.10,9).

# გრინი ენევა გოიჩელს

საფრანგეთის სამთო კურორტ შამონიში გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი სამთო-მოთხილამურე ქალებისთვის. როგორც ვიტყობინებოდით, აქამდე ერთპიროვნულად ლიდერობდა მ. გოიჩელი (საფრანგეთი), რომელსაც შამონიში გამგზავრებამდე 103 ქულა ჰქონდა. მომდევნო ადგილებზეც მისი თანაგუნდელები მირი (87 ქულა) და სტიორერი (80 ქულა) იყვნენ. მსოფლიო თასის შარშანდელი მფლობელი კანადელი გრინი 77 ქულით IV ადგილზე იყო.

შამონიში თასის მაძიებლები სწრაფდაშვებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველას აჯობა გრინმა, რომელმაც კიდევ 25 ქულა მიიღო. ახლა მას 102 ქულა აქვს. გოიჩელმა კი მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა (3 ქულა მიიღო). ახლა იგი 4 ქულითღა უსწრებს გრინს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**თბილისის სპორტულ ბაზებზე**

**კალათბურთი:** სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „ა“ კლასი. 4-5 მარტი. „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ), 7-8 მარტი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ). დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 6 უე 03970